საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

13.11.2023

N 2060

2060-09-02-11-3-
202311131204

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ “ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ (№09-01-08/55, 26.10.2022)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საკანონმდებლო პაკეტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ (I მოსმენით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ (№09-01-08/55, 26.10.2022).

I. საკანონმდებლო პაკეტის ძირითადი არსი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით ახლებურად მოწესრიგდა სხვადასხვა

საკითხები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. ახალი საკანონმდებლო რეალობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული ერთ-ერთი ახალი სფეროა ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზები და მათი მართვა.

საავტომობილო გზების სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონი ჯერ კიდევ 2005 წელს იქნა მიღებული, რომელიც თავისი სტრუქტურით და შინაარსით შეუსაბამობაშია ახალ საკანონმდებლო რეალობასთან. ამასთანავე არ არსებობს ზემოაღნიშნული კანონის კოდიფიცირებული ოფიციალური ვერსია, რაც კანონის გამოყენების სფეროში პრობლემურია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის შემუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“.

ზემოაღნიშნული ახალი საკანონმდებლო მოცემულობიდან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში, რადგანაც აღნიშნული საკანონმდებლო აქტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გათვალისწინებულია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, რაც კანონმდებლობის შესაბამისად აღარ განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას.

II. საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის თანახმად საკანონმდებლო პაკეტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების, თანდართული საქართველოს კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტები შეესაბამება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, საკანონმდებლო პაკეტში შემავალ კანონის პროექტებთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. საკანონმდებლო პაკეტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს საკანონმდებლო პაკეტში

შემავალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ ზოგადი პრინციპების და ძირითადი დებულებების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ I მოსმენით, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ ერთი მოსმენით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,
ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე